ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

N 10
29/04/2020

10-04-4-202004291647

ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-25 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საჯარო სამსახურის ბიურო“-ს 2020 წლის 5 მარტის №g1783 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. შეთანხმებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობა და განისაზღვროს 32 (ოცდათორმეტი) ერთეულით.
2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.
3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 24 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

შუქრი თურმანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე